შპს „მშენ-ექსპერტი +“
A – ტიპის ინსპექტირების ორგანო
მის: ქ. თბილისი, გიორგი მიროტაძის ქუჩა,
№6, სართული 3, ბინა №4
ტელ.: (+995) 595-95-25-22

აკრედიტაციის მოწმობის №:GAC-IB-0350
ინსპექტირების ანგარიშის №: FT-433/06/25-I433/1
გაცემის თარიღი: “ 12 ” 09 2025 წელი
ინსპექტირების თარიღი: 02.06÷12.09.2025 წელი

ინსპექტირების ობიექტის იდენტიფიკაცია:
ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №40-ში (ს/კ 01.72.14.034.281)
მდებარე სავაჭრო ცენტრი

გამტკიცებ,
დირექტორი _____
ა. ჭიპაშვილი

ინსპექტირების ანგარიში
(ექსპერტიზის დასკვნა)

დამკვეთის იდენტიფიკაცია:	შპს „SINA“ ს/ნ 406095648 დირექტორი – ნათია მშვიდობაძე
ანგარიშის შედგენის საფუძველი:	ხელშეკრულება №C-433/06/25-I433 (02.06.2024 წ)
ინსპექტირების სფერო:	ობიექტის ან მისი ნაწილის ტექნიკური მდგომარეობის ინსპექტირება.
ინსპექტირების ამოცანა:	ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №40-ში (ს/კ 01.72.14.034.281) მდებარე სავაჭრო ცენტრის მშენებლობის შესაბამისობის დადგენა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №5285292 (11/02/2021) და №6151000 (05/10/2022) ბრძანებებით შეთანხმებულ პროექტთან და შესრულებულ ეტაპებთან.

თბილისი
2025 წელი

შემადგენლობა

1. ინსპექტირების შემსრულებლები 3
2. ინსპექტირებისათვის წარმოდგენილი მასალები 3
3. გამოყენებული ნორმატიული დოკუმენტები 3
4. გამოყენებული ხელსაწყოები 4
5. კვლევითი ნაწილი 5
6. დასკვნა 18

ინსპექტირების შემსრულებლები

ინსპექტირების შემსრულებლები ინსპექტირების ორგანოს ხელმძღვანელის მიერ გაფრთხილებული და პასუხისმგებელნი ვართ ინსპექტირება ვაწარმოოთ მიუკერძოებლად ჯეროვნად ჩავატაროთ კვლევა და დავიცვათ ინსპექტირების ჩატარების დროს მიღებული ან წარმოქმნილი ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

ინსპექტორები: ***მალხაზ ხუციშვილი***

ლევან გოგუა

წარმოდგენილი მასალები

1. საპროექტო დოკუმენტაცია;
2. კონსტრუქციული და არქიტექტურული პროექტი;
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ბრძანებები №5285292 (11/02/2021) და №6151000 (05/10/2022);

გამოყენებული ნორმატიული ლიტერატურა

1. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 2);
2. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 3);
3. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება №71);
4. MEP-TP-G04.1 – ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები.

გამოყენებული ხელსაწყოები

- "შმიდტი"-ს ჩაქუჩი NOVATEST (დაკალიბრების თარიღი 10/9/2024 წ. GE/MI/05-02274-24);
- Nikon D3100 ციფრული ფოტოაპარატი – ვიზუალური დათვალიერების ფოტოფიქსაცია;
- ლაზერული მანძილმზომი ობიექტის ზომების, ფართისა და მოცულობის აზომვა (დაკალიბრების თარიღი 10.08.2024 წელი GE/MI/01-02255-24, საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო);
- POISK-M – რკინაბეტონში არმატურის განლაგების, ზომების და ბეტონის დამცავი ფენის სისქის მზომი ხელსაწყო (INTERPRIBOR);
- ბეტონის დამცავი შრის, არმატურის განლაგების და დიამეტრის დამდგენი ხელსაწყო – NOVASCAN R-800 (ქარხნული სერტიფიკატი).

კვლევითი ნაწილი

ინსპექტირების მიზანია: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №40-ში (ს/კ 01.72.14.034.281) მდებარე სავაჭრო ცენტრის მშენებლობის შესაბამისობის დადგენა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №5285292 (11/02/2021) და №6151000 (05/10/2022) ბრძანებებით შეთანხმებულ პროექტთან და შესრულებულ ეტაპებთან.

გამოსაკვლევი შენობა წარმოადგენს სავაჭრო ცენტრს, რომლის მზიდი კონსტრუქცია მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩო-კავშირებიანი ტიპისაა, გეგმაში შენობა რთული გეომეტრიული მოხაზულობისაა, საძირკველი მონოლითური რკინაბეტონის ხიმინჯოვანი ტიპისაა, რომელიც შეკრულია მონოლითური რკინაბეტონის როსტვერკოვანი ფილით, სართულებს შორის კავშირი ხორციელდება ლიფტით და კიბის უჯრედებით. შენობის მზიდ კონსტრუქციებზე საძირკვლის ჯდენით გამოწვეული ბზარები და დაზიანებები არ შეინიშნება (სურ: 1; 2; 3; 4);



სურ. 1. შენობის ფასადი



სურ. 1. შენობის ფასადი



სურ. 3. შენობის ფასადი



სურ. 4. შენობის ფასადი

სავაჭრო ცენტრის მშენებლობა განხორციელდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №5285292 (11/02/2021) და №6151000 (05/10/2022) ბრძანებებით შეთანხმებული პროექტისა და განსაზღვრული ეტაპების მიხედვით.

სავაჭრო ცენტრის მშენებლობის ეტაპები №5285292 (11/02/2021) ბრძანებით განსაზღვრულია შემდეგნაირად:

I რიგის სამუშაოები:

1) მოსამზადებელი სამუშაოები;
2) შენობის გრუნტის დაკვალვა (მიშენება) და ძირითადი ღერძების დაფიქსირება;

II რიგის სამუშაოები:

1) მიწის სამუშაოები;
2) ფუძის მოწყობის სამუშაოები;
3) საძირკვლის მოწყობის სამუშაოები;
4) ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვან ნიშნულამდე;
5) I-II სართულის მზიდი კონსტრუქციების სამშენებლო სამუშაოები;
6) III-IV სართულის მზიდი კონსტრუქციების სამშენებლო სამუშაოები;
7) V-VI სართულის მზიდი კონსტრუქციების სამშენებლო სამუშაოები;
8) შენობის სახურავის და გადახურვის მოწყობა, არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა;
9) საინჟინრო ტექნიკური ქსელის მოწყობა;
10) შენობის გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები;
11) ტერიტორიის კეთილმოწყობა, სამუშაოების დასრულება;

ხოლო №6151000 (05/10/2022) ბრძანებით ეტაპები განსაზღვრულია შემდეგნაირად:

1) V-VI სართულების მზიდი კონსტრუქციების სამშენებლო სამუშაოები;
2) შენობის სახურავის და გადახურვის მოწყობა;
3) არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა;
4) საინჟინრო ტექნიკური ქსელების მოწყობა;
5) შენობის გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები;
6) ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები.

ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №40-ში (ს/კ 01.72.14.034.281) მდებარე სავაჭრო ცენტრის მშენებლობაზე ინსპექტირების მიერ სანებართვო პირობებთან შესაბამისობის დადგენისას ინსპექტირების პერიოდისთვის დასრულებული ეტაპები განხილული იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №5285292 (11/02/2021) ბრძანებით 1-დან 6 ეტაპის ჩათვლით, ხოლო №6151000 (05/10/2022) ბრძანებით 1-დან მე-3 ეტაპის ჩათვლით.

ინსპექტირება განხორციელდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №5285292 (11/02/2021) ბრძანებით, საპროექტო დოკუმენტაციის, მასალების

სერთიფიკატების, ინსპექტორების ადგილზე აზომვების, არამრღვევი კონტროლის მეთოდებით კვლევისა და ფოტოფიქსაციის ურთიერთშედარების მეთოდით.

სამშენებლო სამუშაოები წარიმართა №5285292 (11/02/2021) ბრძანებით განსაზღვრული ეტაპების მიხედვით:

I რიგის სამუშაოები:

ეტაპი 1. მოსამზადებელი სამუშაოები

ვინაიდან მშენებლობა დასრულებულია, ინსპექტირების ეტაპზე, სამშენებლო მოედანზე პირველი ეტაპის შესაბამისი მოთხოვნებით გათვალისწინებული დროებითი ღობე, ბანერი, დროებითი ელექტრო მომარაგება, დროებითი წყალი, მუშების გასახდელი, სამუშაოთა მწარმოებლის ოთახი (საპრარაბო) და სველი წერტილი არ არის, თუმცა, პირველი ეტაპის შესაბამისი სამუშაოები შესრულებულია.

ეტაპი 2. შენობა-ნაგებობის გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება

აღნიშნული ეტაპი შესრულებულია, სამშენებლო ობიექტზე განხორციელდა გრუნტზე დაკვალვა და დაფიქსირდა შენობის ძირითადი ღერძების კოორდინატები გეოდეზისტის მიერ, რაც თანხვედრაშია საპროექტო მონაცემებთან.

II რიგის სამუშაოები:

ეტაპი 1. მიწის სამუშაოები

აღნიშნული ეტაპი შესრულებულია, კერძოდ, ქვაბულის მოსაწყობად მოიჭრა და სამშენებლო მოედნიდან გატანილ იქნა მიწა;

ეტაპი 2. ფუძის მოწყობის სამუშაოები

შენობის ფუძედ მოწყობილია მონოლითური რკინაბეტონის ხიმინჯები– დიამეტრით Ø800მმ, ბეტონის კლასი B25, დაარმირებულია Ø25მმ; Ø8მმ არმატურით. (სურ: 1; 2; 3; 4;).



სურ. 1. საძირკვლის მოწყობის სამუშაოები დამკვეთის მიერ გამოგზავნილი ფოტოსურათი



სურ. 2. საძირკვლის მოწყობის სამუშაოები დამკვეთის მიერ გამოგზავნილი ფოტოსურათი



სურ. 3. საძირკვლის მოწყობის სამუშაოები დამკვეთის მიერ გამოგზავნილი ფოტოსურათი



სურ. 4. საძირკვლის მოწყობის სამუშაოები დამკვეთის მიერ გამოგზავნილი ფოტოსურათი

ეტაპი 3. საძირკვლის მოწყობის სამუშაოები

შენობის საძირკველი მოწყობილის მონოლითური რკინაბეტონის ფილით, სისქით 500მმ, ბეტონის კლასი B25, დაარმირებულია Ø20მმ; Ø16მმ; Ø8მმ არმატურით, აღნიშნული პარამეტრები დადგენილია სკლერომეტრით, მაგნიტომეტრით და NOVASCAN R800-ით (სურ: 5; 6).



სურ. 5. რკ/ბ საძირკვლის გამოკვლევა



სურ. 6. რკ/ბ საძირკვლის გამოკვლევა

ეტაპი 4. ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვან ნიშნულამდე

აღნიშნული ეტაპი შესრულებულია, შენობის ნულოვან ნიშნულამდე მოწყობილია მონოლითური რკინაბეტონის სვეტები – ზომებით 800X500მმ; 700X500მმ, 400X400მმ; სვეტები დაარმირებულია Ø22მმ; Ø20მმ; Ø8მმ არმატურით;

მონოლითური რკინაბეტონის რიგელები – ზომებით 400X500მმ; ბეტონის კლასი B25, დაარმირებულია Ø25მმ; Ø20მმ არმატურით;

სართულშუა გადახურვის მონოლითური რკინაბეტონის ფილა სისქით 160მმ, დაარმირებულია Ø12მმ; Ø10მმ; Ø8მმ არმატურით;

მონოლითური რკინაბეტონის კედლები - სისქით 200მმ; ბეტონის კლასი B25, დაარმირებულია Ø14მმ; Ø8მმ არმატურით;

მონოლითური რკინაბეტონის კიბეები, სისქით - 160მმ; ბეტონის კლასი B25, დაარმირებულია Ø12მმ; Ø10მმ; Ø8მმ არმატურით (სურ: 7; 8; 9; 10; 11; 12).



სურ. 7. რკ/ბ სვეტის არმირების გამოკვლევა



სურ. 8. რკ/ბ სვეტის არმირების გამოკვლევა



სურ. 9. რკ/ბ ფილის ბეტონის სიმტკიცის დადგენა



სურ. 10. რკ/ბ ფილის არმირების გამოკვლევა



სურ. 11. რკ/ბ რიგელის ბეტონის სიმტკიცის დადგენა



სურ. 12. რკ/ბ რიგელის არმირების გამოკვლევა

ეტაპი 5. I-II სართულის მზიდი კონსტრუქციების სამშენებლო სამუშაოები

აღნიშნული ეტაპი შესრულებულია, შენობის I-II სართულებზე მოწყობილია მონოლითური რკინაბეტონის სვეტები – ზომებით 700X500მმ, 400X400მმ; სვეტები დაარმირებულია Ø22მმ; Ø20მმ; Ø8მმ არმატურით;

მონოლითური რკინაბეტონის რიგელები – ზომებით 400X500მმ; ბეტონის კლასი B25, დაარმირებულია Ø25მმ; Ø20მმ არმატურით;

სართულშუა გადახურვის მონოლითური რკინაბეტონის ფილა, სისქით – 160მმ, დაარმირებულია Ø12მმ; Ø10მმ; Ø8მმ არმატურით;

მონოლითური რკინაბეტონის დიაფრაგმები - სისქით 200მმ; ბეტონის კლასი B25, დაარმირებულია Ø14მმ; Ø8მმ არმატურით;

მონოლითური რკინაბეტონის კიბეები, სისქით - 160მმ; ბეტონის კლასი B25, დაარმირებულია Ø12მმ; Ø10მმ; Ø8მმ არმატურით (სურ: 13; 14; 15; 16).



სურ. 13. რკ/ბ სვეტის არმირების გამოკვლევა



სურ. 14. რკ/ბ სვეტის არმირების გამოკვლევა



სურ. 15. რკ/ბ რიგელის ბეტონის სიმტკიცის დადგენა



სურ. 16. რკ/ბ რიგელის არმირების გამოკვლევა

ეტაპი 6. III-IV სართულის მზიდი კონსტრუქციების სამშენებლო სამუშაოები

აღნიშნული ეტაპი შესრულებულია, შენობის III-IV სართულებზე მოწყობილია მონოლითური რკინაბეტონის სვეტები – ზომებით 600X400მმ, 400X400მმ; სვეტები დაარმირებულია Ø20მმ; Ø8მმ არმატურით;

მონოლითური რკინაბეტონის რიგელები – ზომებით 400X500მმ; ბეტონის კლასი B25, დაარმირებულია Ø25მმ; Ø20მმ არმატურით (იხ. დანართი, არმატურის სერტიფიკატები);

სართულშუა გადახურვის მონოლითური რკინაბეტონის ფილა, სისქით – 160მმ, დაარმირებულია Ø12მმ; Ø10მმ; Ø8მმ არმატურით (იხ. დანართი, არმატურის სერტიფიკატები;

მონოლითური რკინაბეტონის დიაფრაგმები - სისქით 200მმ; ბეტონის კლასი B25, დაარმირებულია Ø14მმ; Ø8მმ არმატურით;

მონოლითური რკინაბეტონის კიბეები, სისქით - 160მმ; ბეტონის კლასი B25, დაარმირებულია Ø12მმ; Ø10მმ; Ø8მმ არმატურით (სურ: 17; 18; 19; 20; 21; 22).



სურ. 17. რკ/ბ სვეტის არმირების გამოკვლევა



სურ. 18. რკ/ბ სვეტის არმირების გამოკვლევა



სურ. 19. რკ/ბ რიგელის ბეტონის სიმტკიცის დადგენა



სურ. 20. რკ/ბ რიგელის არმირების გამოკვლევა



სურ. 21. რკ/ბ ფილის ბეტონის სიმტკიცის დადგენა



სურ. 22. რკ/ბ ფილის არმირების გამოკვლევა

ინსპექტირება განხორციელდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №6151000 (05/11/2022) ბრძანებით, საპროექტო დოკუმენტაციის, მასალების სერთიფიკატების, ინსპექტორების ადგილზე აზომვების, არამრღვევი კონტროლის მეთოდებით კვლევისა და ფოტოფიქსაციის ურთიერთშედარების მეთოდით.

სამშენებლო სამუშაოები წარიმართა №6151000 (05/11/2022) ბრძანებით განსაზღვრული ეტაპების მიხედვით:

ეტაპი 1. V-VI სართულის მზიდი კონსტრუქციების სამშენებლო სამუშაოები:

აღნიშნული ეტაპი შესრულებულია, შენობის V-VI სართულებზე მოწყობილია მონოლითური რკინაბეტონის სვეტები – ზომებით 600X400მმ, 400X400მმ; სვეტები დაარმირებულია Ø20მმ; Ø8მმ არმატურით;

მონოლითური რკინაბეტონის რიგელები – ზომებით 400X500მმ; ბეტონის კლასი B25, დაარმირებულია Ø25მმ; Ø20მმ არმატურით;

სართულშუა გადახურვის მონოლითური რკინაბეტონის ფილა, სისქით – 160მმ, დაარმირებულია Ø12მმ; Ø10მმ; Ø8მმ არმატურით;

მონოლითური რკინაბეტონის დიაფრაგმები - სისქით 200მმ; ბეტონის კლასი B25, დაარმირებულია Ø14მმ; Ø8მმ არმატურით;

მონოლითური რკინაბეტონის კიბეები, სისქით - 160მმ; ბეტონის კლასი B25, დაარმირებულია Ø12მმ; Ø10მმ; Ø8მმ არმატურით (სურ: 23; 24; 25; 26; 27; 28).



სურ. 23. რკ/ბ სვეტის არმირების გამოკვლევა



სურ. 24. რკ/ბ სვეტის არმირების გამოკვლევა



სურ. 25. რკ/ბ რიგელის ბეტონის სიმტკიცის დადგენა



სურ. 26. რკ/ბ რიგელის არმირების გამოკვლევა



სურ. 27. რკ/ბ ფილის ბეტონის სიმტკიცის დადგენა



სურ. 28. რკ/ბ ფილის არმირების გამოკვლევა

ეტაპი 2. შენობის სახურავის და გადახურვის მოწყობა

შენობის ბრტყელი ტიპის გადახურვას წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის ფილა, სისქით – 160მმ, დაარმირებულია Ø12მმ; Ø10მმ; Ø8მმ არმატურით; ბურულად გამოყენებულია ჰიდროსაიზოლაციო ფენილი (სურ: 29; 30).



სურ. 29. შენობის სახურავი



სურ. 30. შენობის სახურავი

ეტაპი 3. არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა

შენობაში მოწყობილია არამზიდი კონსტრუქციები – წვრილი სამშენებლო ბლოკით მოწყობილი ტიხრები, ვიტრაჟები, ლითონის მსუბუქი კონსტრუქციები (სურ: 31; 32).



სურ. 31. შენობის სახურავი



სურ. 32. შენობის სახურავი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის №004198, №004199 და №004200 დადგენილებებში წარმოდგენილი დარღვევების საფუძველზე, ჩვენს მიერ ადგილზე გამოკვლეული იქნა აღნიშნული საკითხები და გამოვლინდა შემდეგი:

დადგენილება №004198-ში მოცემული დარღვევები:

დარღვეულია შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის მე-2 ეტაპით - „შენობის სახურავის და გადახურვის მოწყობა" გათვალისწინებული სამუშაოები", კერძოდ: გეგმა +19.25 ნიშნულზე: „1-3" „ა-თ" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ლითონის კიბეები (სურ: 33; 34);

შეცვლილია პარაპეტის გაბარიტი და სიგანე, გაზრდილია კიბის უჯრედების და ლიფტის შახტების სიმაღლე, კერძოდ, შეთანხმებული პროექტით შახტების სიმაღლე

3.05მ, ადგილზე შახტების სიმაღლეა 3.65მ;

„ზ" ღერძზე „4-5" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ღიობი, მონოლითური და ბლოკის კედლების მოწყობა ნაწილობრივ არ შეესაბამება საპროექტოს (სურ. 35);

გეგმა +21.45 ნიშნულზე: დამატებით მოწყობილია კაპიტალური კედლები გადახურვით, ლითონის კიბეებით და რკინის მსუბუქი კონსტრუქციებით. „5-7" „ა–თ" მონაკვეთში შეცვლილია გადახურვის გაბარიტი, შეცვლილია ნიშნულის დონე (სურ. 36; 37).

ჭრილი „3-3"-ზე: „5-7" მონაკვეთში +19.25 ნიშნულზე შეცვლილია კაპიტალური კედლის სიმაღლე, ადგილმდებარეობა და მის ნაცვლად მოწყობილია ლითონის კონსტრუქციები ვიტრაჟებით, ნაწილობრივ შეცვლილია კოლონების გაბარიტი (სურ: 38).

-2.95 და 0.00 ნიშნულზე „ზ-თ" მონაკვეთში „4" ღერძის მიმდებარედ გაუქმებულია ლიფტის კარი;

ნაწილობრივ შეცვლილია სართულების სიმაღლე, გეგმა -2.95 ნიშნულზე: „1-5" „ა-თ" მონაკვეთში შეცვლილია ფილის დონე, კერძოდ, არსებულ და საპროექტო შენობის იატაკის ფილებს შორის არათანაბარი დონის გამო, მოწყობილია მცირე ზომის საფეხური, რის გამოც, იატაკის ფილის დონე აწეულია დაახლოებით 10 სმ-ით (სურ: 39);

გეგმა 0.00 ნიშნულზე: „დ" ღერძზე „1" ღერძის გარეთ დამატებით მოწყობილია კოლონა. გეგმა +3.10 ნიშნულზე: „2-3" „ა-გ" მონაკვეთში შეცვლილია კარის ღიობის გაბარიტი და ადგილმდებარეობა, კერძოდ, კერძოდ, პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია ორფრთიანი კარის მოწყობა „2" ღერძზე, ადგილზე მოწყობილია ერთფრთიანი კარი, ზომებით 2.90X1მ, „გ" ღერძზე (სურ: 40; 41).

გეგმა +6.25 ნიშნულზე: „დ-თ" „1-2: მონაკვეთში გაზრდილია სართულშუა გადახურვის ფილის გაბარიტი და შეცვლილია ფორმა, რითაც გაზრდილია ფართი (სურ: 42).

საპროექტო ხარვეზი – არქიტექტურულ ნახაზზე შახტების კოლონების მოწყობა ნაწილობრივ არ შეესაბამება კონსტრუქციულ ნახაზს;



სურ. 33. დამატებით მოწყობილი ლითონის კიბეები



სურ. 34. დამატებით მოწყობილი ლითონის კიბეები



სურ. 35. დამატებით მოწყობილი ღიობი (მონიშნულია წითლად)



სურ. 36. დამატებით მოწყობილი კაპიტალური კედლები გადახურვით



სურ. 37. დამატებით მოწყობილი კაპიტალური კედლები გადახურვით



სურ. 38. ლითონის კონსტრუქციები ვიტრაჟებით



სურ. 39. აწეული იატაკის დონე



სურ. 40. პროექტის დარღვევით მოწყობილი კარი



სურ. 41. კარის ღიობის ზომების დადგენა



სურ. 42. გაზრდილი ფილა და დამატებული ფართი

დადგენილება №004199-ში მოცემული დარღვევები:

დარღვეულია შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის მე-3 ეტაპით - არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა" გათვალისწინებული სამუშაოები, კერძოდ: ნაწილობრივ შეცვლილია გეგმარება, შეცვლილია სველი წერტილების რაოდენობა

შშმ პირებისთვის განკუთვნილი სანკვანძები ნაწილობრივ არ შეესაბამება საპროექტოს, გეგმა +3.10 ნიშნულზე: „ა" „1" ღერძების გარეთ შეცვლილია პერიმეტრის კედლის გაბარიტი;

დადგენილება №004200-ში მოცემული დარღვევები:

დარღვეულია შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის მე-5 ეტაპით – გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები" გათვალისწინებული სამუშაოები, კერძოდ: ფასადებზე დამატებით მოწყობილია კონდიციონერები (სურ. 43), ფასადების მოპირკეთება არ შეესაბამება საპროექტოს. „თ-ა" ფასადზე: „დ-თ" მონაკვეთში შეცვლილია მოაჯირის ვიზუალი და გაბარიტი, ვიტრაჟების ნაცვლად მოწყობილია აივნები ლითონის მოაჯირებით, ამავე მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ვიტრაჟები კარებით (სურ. 44); ვიტრაჟებში დამატებით მოწყობილია კარის ღიობები და შეცვლილია მათი ვიზუალი, გაბარიტი და ადგილმდებარეობა. გეგმა 0.00 ნიშნულზე: „ე-თ" „1-2" მონაკვეთში გაუქმებულია ვიტრაჟები და კარები. ამავე მონაკვეთში შეცვლილია კარის გაბარიტი, ადგილმდებარეობა და გაღების ტიპი. გეგმა +9.50 ნიშნულზე: „5-7" „ა-თ" მონაკვეთში შეცვლილია მეტალის კარკასის გაბარიტი, „5-6" „გ-ზ" მონაკვეთში გაუქმებულია კარის ღიობები (სურ: 45; 46).



სურ. 43. დამატებით მოწყობილი კონდიციონერები


სურ. 44. პროექტის დარღვევით მოწყობილი ნაწილი (მონიშნულია წითლად)


სურ. 45. პროექტის დარღვევით მოწყობილი ვიტრაჟები


სურ. 46. პროექტის დარღვევით მოწყობილი ვიტრაჟები

ჩატარებული კვლევის ანალიზი

ადგილზე ჩატარებული ვიზუალურ-ტექნიკური და ინსტრუმენტული გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ შენობის მზიდ მონოლითურ რკინაბეტონის კონსტრუქციებს არ აღენიშნება საძირკვლის ჯდენით გამოწვეული დეფორმაციები და სხვა სახის დეფექტები, შენობის მზიდი კონსტრუქციები მდგრადია, შენობის მშენებლობა ძირითადად განხორციელებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №5285292 (11/02/2021) ბრძანებით განსაზღვრული 1-6 ეტაპების და №6151000 (05/10/2022) ბრძანებით განსაზღვრული 1-3 ეტაპების მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დადგენილებებში - №004198, №004199 და №004200-ში, შეთანხმებულ პროექტთან მიმართებაში გამოვლენილი გადახრები არ არის კონსტრუქციული ხასიათის და უარყოფით გავლენას არ ახდენს შენობის მზიდი კონსტრუქციების მდგრადობაზე, თუმცა, აუცილებელია აღნიშნული გადახრები გათვალისწინებულ იქნას კორექტირებულ არქიტექტურულ პროექტში.

დასკვნა

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №40-ში (ს/კ 01.72.14.034.281) მდებარე სავაჭრო ცენტრის შენობის მზიდ მონოლითურ რკინაბეტონის კონსტრუქციებს არ აღენიშნება საძირკვლის ჯდენით გამოწვეული დეფორმაციები და სხვა სახის დეფექტები, შენობის მზიდი კონსტრუქციები მდგრადია, შენობის მშენებლობა ძირითადად განხორციელებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №5285292 (11/02/2021) ბრძანებით განსაზღვრული 1-6 ეტაპების და №6151000 (05/10/2022) ბრძანებით განსაზღვრული 1-3 ეტაპების მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დადგენილებებში - №004198, №004199 და №004200-ში, შეთანხმებულ პროექტთან მიმართებაში გამოვლენილი გადახრები არ არის კონსტრუქციული ხასიათის და უარყოფით გავლენას არ ახდენს შენობის მზიდი კონსტრუქციების მდგრადობაზე, თუმცა, აუცილებელია აღნიშნული გადახრები გათვალისწინებულ იქნას კორექტირებულ არქიტექტურულ პროექტში.

(იხილეთ კვლევითი ნაწილი).

ინსპექტირების ანგარიში შეადგინეს:

ინსპექტორები: / მ. ხუციშვილი /

/ ლ. გოგუა/

გაზომვები განახორციელა:

სპეციალისტი: / გ. აბაშიძე/

ინსპექტირების ანგარიში ტექნიკურად გადაამოწმა:

ტექნიკური მენეჯერი:

პროფესორი /მ. წიქარიშვილი /

ინსპექტირების ანგარიში ადმინისტრაციულად გადაამოწმა:

ინსპექტირების ორგანოს ხელმძღვანელი: /ა. ჭიპაშვილი /

თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება № 5285292

გაცემის თარიღი: 11/02/2021

გაცნობის თარიღი: -

განცხადების ნომერი: AR1800617
შემოსვლის თარიღი: 10/02/2021
შედეგი: **თანხმობა**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საგადასტრო კოდი: 01.72.14.034.281
- მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებელის ხეივანი, N 40
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 1400.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): შპს „SINA" (406095648)

ნომენკლატურა :

- **სავაჭრო ცენტრი**
- **IV კლასი**
- **მიშენება ან მიშენება - დაშენება**
- **მშენებლობის ნებართვა**

დამკვეთი - განმცხადებელი:

- გიორგი ფურცხვანიძე პ/ნ 01017004573
- მისამართი: სარაჯიშვილის 7

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "SINA"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 406095648
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ჰაჯიან ალირეზა
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01291014642

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 5231621
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 21.12.2020

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის№255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

ბრძანება

1. გაიცეს: ქ. თბილისში, ზაჰესის ტერიტორია, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი N 01.72.14.034.281) სავაჭრო ცენტრის 21/12/2020წ. № 5231621 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალოს მშენებლობის სანებართვო მოწმობა.

2. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2021 წლის 11 თებერვლიდან 2022 წლის 11 ოქტომბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.

3. მშენებლობის ეტაპები განისაზღვროს შემდეგნაირად:

I რიგის- 1. მოსამზადებელი სამუშაოები

2. შენობის გრუნტის დაკვალვა (მიშენება) და ძირითადი ღერძების დაფიქსირება.

II რიგის - 1.მიწის სამუშაოები

2.ფუძის მოწყობის სამუშაოები

3. საძირკვლის მ ოწყობის სამუშაოები

4. ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვან ნიშნულამდე

5. I-II სართულის მზიდი კონსტრუქციების სამშენებლო სამუშაოები

6. III-IV სართულის მზიდი კონსტრუქციების სამშენებლო სამუშაოები

7. V-VI სართულის მზიდი კონსტრუქციების სამშენებლო სამუშაოები

8. შენობის სახურაცის და გადახურვის მოწყობა არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა

9. საინჟინრო ტექნიკური ქსელის მოწყობა

10. შენობის გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები

11. ტერიტორიის კეთილმოწყობა, სამუშაოების დასრულება

გაითვალისწინეთ: სანებართვო პირობებით გათვალისწინებული მშენებლობის ეტაპის დასრულებამდე 10 დღით ადრე ნებართვის მფლობელი ვალდებულია შეატყობინოს საჯარო ზედამხედველობის ორგანოს მშენებლობის ეტაპის დასრულების შესახებ.

4. განემარტოს დამკვეთს, რომ ვალდებულია სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უზრუნველყოს თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო დაფის განთავსება, საპროექტო შენობის ვიზუალიზაციით და შესაბამისი რეკვიზიტებით.

5. ტერიტორიაზე ხაზობრივი ნაგებობების არსებობის შემთხვევაში საპროექტო ობიექტის მშენებლობის საკითხი წინასწარ იქნას შეთანხმებული ხაზობრივი ნაგებობის მესაკუთრესთან.

6. მშენებლობის წარმოებისას დაცული იქნას ტერიტორიაზე არსებული ხე–ნარგავები, ხის მოჭრის ან გადარგვის საჭიროების შემთხვევაში საკითხი წინასწარ იქნას შეთანხმებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურთან.

- საპროექტო ობიექტი უზრუნველყოფილ იქნეს სათანადო წყალარინების (საკანალიზაციო) შიდა და გარე სისტემით.
- მშენებლობა განხორციელდეს წარმოდგენილი კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
- მშენებლობის დამთავრების შემდეგ ობიექტი მიღებული იქნას ექსპლუატაციაში კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- სამშენებლო დოკუმენტის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს. სამსახური პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ დამოწმებული დოკუმენტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.
- თუ ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოები არ შეესაბამება სანებართვო დოკუმენტაციას, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო დამრღვევის მიმართ გაატარებს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით განსაზღვრულ ღონისძიებას.
- დამკვეთი ვალდებულია უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს ან/და თანამდებობის პირის მოთხოვნისთანავე უზრუნველყოს იმ დოკუმენტაციის გაცნობა, რომელიც ამ უკანასკნელმა უნდა იქონიოს სამშენებლო მოედანზე.
- საინფორმაციო დაფა უნდა არსებობდეს სამშენებლო სამუშაოთა წარმოების მთელ პერიოდში და განახლდეს სამშენებლო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, თუ ეს არსებითად ცვლის დაფაზე განთავსებულ ინფორმაციას.
- დამკვეთი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი ვალდებულია შეასრულოს შემდეგი სანებართვო პირობები:

    - აწარმოოს მშენებლობა მშენებლობის ნებართვით განსაზღვრულ ვადებში;

    - აწარმოოს მშენებლობა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ან/და განაშენიანების რეგულირების გეგმის მოთხოვნების დარღვევის გარეშე;

    - აწარმოოს მშენებლობა სამშენებლო დოკუმენტის დარღვევის გარეშე; - აწარმოოს მშენებლობა სამშენებლო რეგლამენტების მოთხოვნათა დაცვით;

    - უზრუნველყოს ძირითადი კონსტრუქციული სისტემის, ინტერიერის საერთო ან/და საზოგადოებრივი სარგებლობის ნაწილების, ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-კომუნალური ქსელების, ექსტერიერისა და მიწის ნაკვეთის ტერიტორიის მოწყობის სამშენებლო სამუშაოების დასრულება;

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჭ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთმერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველისართული, სივრცე #4.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება № 6151000

გაცემის თარიღი: 05/10/2022

გაცნობის თარიღი: -

განცხადების ნომერი: AR1925168
შემოსვლის თარიღი: 28/09/2022
შედეგი: **თანხმობა**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.72.14.034.281
- მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებელის ხეივანი, N 40
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 1400.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): შპს „SINA" (406095648)

ნომენკლატურა :

- **სავაჭრო ცენტრი**
- **IV კლასი**
- **ვადაგაუსვლელი**
- **მშენებლობის ნებართვა**

დამკვეთი - განმცხადებელი:

- გიორგი ფურცხვანიძე პ/ნ 01017004573
- მისამართი: სარაჯიშვილის 7

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: სავაჭრო ცენტრი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ლალი შაშიაშვილი
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს "XG"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404392527

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "SINA"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 406095648
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ნათია მშვიდობაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01010011514

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 5285292
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 11.02.2021

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის№255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

ბრძანება

1. დაკმაყოფილდეს გიორგი ფურცხვანიძის 28/09/2022 წლის AR1925168 განცხადება.

2. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 11/02/2021 წლის №5285292 ბრძანებაში და ბრძანების მე–2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

3. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 05/10/2022 წლიდან **05/12/2023 წლის ჩათვლით**, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.

4. მშენებლობის დარჩენილი ეტაპები განისაზღვროს შემდეგნაირად:

1) V-VI სართულების მზიდი კონსტრუქციების სამშენებლო სამუშაოები;

2) შენობის სახურავის და გადახურვის მოწყობა;

3) არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა;

4) საინჟინრო ტექნიკური ქსელების მოწყობა;

5) შენობის გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები;

6) ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები;

გაითვალისწინეთ: მშენებლობის ნებართვის მფლობელი (დამკვეთი) ვალდებულია "მშენებლობის

ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად შეადგინოს მშენებლობის (ზედამხედველობის) ეტაპის დასრულების ოქმი და სამშენებლო/სანებართვო პირობებით დადგენილი მორიგი ეტაპის დასრულებამდე წერილობითი სახით წარადგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში. აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა წარმოადგენს სანებართვო პირობების დარღვევას და იწვევს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას - დაჯარიმებას.

5. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 11/02/2021 წლის №5285292 ბრძანებასთან ერთად.

- საპროექტო ობიექტი უზრუნველყოფილ იქნეს სათანადო წყალარინების (საკანალიზაციო) შიდა და გარე სისტემით.
- მშენებლობა განხორციელდეს წარმოდგენილი კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
- აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

მომსახურების ხელშეკრულება №C-433/06/25-I433

ქ. თბილისი „2“ ივნისი 2025 წ.

წინამდებარე მომსახურების ხელშეკრულება იდება 2025 წლის 2 ივნისის №433/06/25-I433 განცხადების საფუძველზე.

ერთი მხრივ, შპს „SINA“ (ს/კ 406095648) (შემდგომში - „დამკვეთი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ნათია მშვიდობაძის სახით, და მეორე მხრივ შპს „მშენ-ექსპერტი +“ (ს/კ 406304896) (შემდგომში - „შემსრულებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ალექსანდრე ჭიპაშვილის სახით, (შემდგომში ერთად მოხსენიებული, როგორც „მხარეები“), ვხელმძღვანელობთ რა საზოგადოების წესდებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, წინამდებარე ხელშეკრულებით ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს დამკვეთის მიერ მოთხოვნილი ინსპექტირების ანგარიშის მომზადება შემდეგ საკითხზე: ***ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №40-ში (ს/კ 01.72.14.034.281) მდებარე სავაჭრო ცენტრის დასრულებული ეტაპების ტექნიკური მდგომარეობის ინსპექტირება და ტექნიკური ზედამხედველობა ეტაპების დადასტურების მიზნით (დარჩენილი 3 ეტაპი).***

1.2 წინამდებარე ხელშეკრულებით შემსრულებელი იღებს ვალდებულებას, 2025 წლის **31 დეკემბრამდე** შეასრულოს ხელშეკრულების 1.1. პუნქტით გათვალისწინებული მომსახურება.

მუხლი 2. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

2.1 **შემსრულებელი ვალდებულია**:

2.1.1 უზრუნველყოს ხელშეკრულების 1.1. პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების დროულად და ხარისხიანად შესრულება;

2.2 დროულად აცნობოს დამკვეთს ისეთი გარემოებების შესახებ, რომელიც შემსრულებლისაგან დამოუკიდებლად არსებობს და საფრთხეს უქმნის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.

2.3 **დამკვეთი ვალდებულია**:

2.3.1 გადასცეს შემსრულებელს სამუშაოს შესასრულებლად აუცილებელი ტექნიკური დოკუმენტაცია. ამასთან, დამკვეთი პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციის სისწორესა და სიზუსტეზე;

2.3.2 დროულად და სრულად წარუდგინოს შემსრულებელს მის მიერ მოთხოვნილი დამატებითი დოკუმენტაცია;

2.3.3 ხელი მოაწეროს შემსრულებლის მიერ წარდგენილ დოკუმენტაციას მომსახურების გაწევის მიმდინარეობასთან დაკავშირებით;

2.3.4 „ინსპექტირების ჯგუფს“ (შემსრულებლის წარმომადგენლებს) ობიექტზე შესვლისას გააცნოს შრომის უსაფრთხოების წესები და ჩაუტაროს ინსტრუქტაჟი ორგანიზაციის შიდა განაწესის შესახებ;

2.3.5 აკრედიტაციის ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოს დამკვეთის ობიექტზე მიმდინარე ინსპექტირების სამუშაოებზე აღნიშნული ორგანოს წარმომადგენლების დასწრება;

უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების 4.1. პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების საფასურის სრულად და დროულად, ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში გადახდა.

მუხლი 3. შესრულებული სამუშაოს მიღება – ჩაბარება

3.1 შემსრულებლის მიერ ხელშეკრულების 5.2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შემდეგ, მხარეები აფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს.

3.2. მომსახურების ხასიათიდან გამომდინარე, შემსრულებელმა დამკვეთს ეტაპობრივად შესაძლოა მიაწოდოს დოკუმენტაცია მომსახურების მიმდინარეობასთან დაკავშირებით, დამკვეთი კი ვალდებულია ხელი მოაწეროს აღნიშნულ დოკუმენტს.

მუხლი 4. ანგარიშსწორების წესი და პირობები.

4.1. ხელშეკრულების 1.2 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების საფასური შეადგენს ***11000 (თერთმეტი ათასი)*** ლარს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

4.2. დამკვეთმა წინამდებარე ხელშეკრულების დადების მომენტისათვის შემსრულებელს უნდა გადაუხადოს ხელშეკრულების 4.1 პუნქტით განსაზღვრული თანხის 30% (ოცდაათი პროცენტი).

4.3. შემსრულებელი თავისუფლდება სამუშაოების დაწყების ვალდებულებისგან 4.2 პუნქტში მითითებული საზღაურის გადახდამდე.

4.4. შემსრულებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებიდან დასკვნის მიღებამდე დამკვეთი ვალდებულია გადაუხადოს შემსრულებელს წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტით განსაზღვრული თანხის 70% (სამოცდაათი პროცენტი).

4.5. დამკვეთისა და შემსრულებლის ზეპირი ან წერილობითი შეთანხმების შემთხვევაში, შესაძლებელია 4.2 პუნქტით გათვალისწინებული თანხა გადახდილ იქნეს 4.4 პუნქტით გათვალისწინებულ თანხასთან ერთად 1.1 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში.

4.6. ხელშეკრულების ფარგლებში დამკვეთსა და შემსრულებელს შორის ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში (ლარი), უნაღდო ანგარიშსწორების გზით შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე:

სს „საქართველოს ბანკი“

ბანკის კოდი BAGAGE22

ა/ა GE98BG0000000162660771

4.7 წინამდებარე ხელშეკრულების 4.2 პუნქტით გათვალისწინებული თანხა არ ექვემდებარება დაბრუნებას შემსრულების მიერ მომსახურების გაწევის დაწყების შემდგომ.

მუხლი 5. სამუშაოს დაწყებისა და დასრულების თარიღი

5.1. შემსრულებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება სრულად შეასრულოს 2025 წლის **31 დეკემბრამდე**.

5.2. იმ შემთხვევაში თუ დამკვეთის მიერ გაცემული იქნა თანხმობა ხელშეკრულების 1.2 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების დასრულების ვადის გაგრძელებაზე, მხარეები ვალდებულნი არიან აღნიშნული თანხმობა გააფორმონ წერილობით, როგორც წინამდებარე ხელშეკრულების ცვლილება, რაც წარმოადგენს აღნიშნული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, ან არაჯეროვნად შესრულებისათვის და ვალდებულნი არიან მეორე მხარეს აუნაზღაურონ მიყენებული ზიანი.

6.2 თუ შემსრულებლის მიერ ხელშეკრულების 1.2 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურება არ იქნება განხორციელებული ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში, დამკვეთი უფლებამოსილია მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების 4.2 პუნქტით გათვალისწინებული, გადახდილი თანხის 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.3 შემსრულებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირველი მუხლით განსაზღვრული ვალდებულების, კერძოდ დასკვნის მომზადების შემდეგ, თუ დამკვეთმა არ შეასრულა წინამდებარე ხელშეკრულების 4.2 ან/და 4.3 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულება სრულად, შემსრულებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს დამკვეთს პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადასახდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

მუხლი 7. ფორს-მაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან, თუ წინამდებარე ხელშეკრულებით მათზე დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეული იყო მხარეთაგან დამოუკიდებელი მიზეზებით, ფორს-მაჟორული ან დაუძლეველი ძალის მოქმედებით, რის გამოც შეუძლებელი გახდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება

7.2 წინამდებარე ხელშეკრულების 7.1 პუნქტით განსაზღვრული გარემოებების დადგომის შემთხვევაში მხარეები ვალდებულნი არიან აღნიშნული გარემოებების დადგომიდან 3

სამუშაო დღის განმავლობაში წერილობით ფორმით აცნობონ ერთმანეთს აღნიშნული გარემოებების შესახებ.

7.3 თუ წინამდებარე ხელშეკრულების 7.1 პუნქტით განსაზღვრული გარემოებები გაგრძელდა 15 კალენდარულ დღეზე მეტ ხანს, მხარეები შეთანხმების საფუძველზე უფლებამოსილნი არიან გავიდნენ ხელშეკრულებიდან.

მუხლი 8. კონფიდენციალურობა

8.1. შემსრულებელი ვალდებულია არ გაამჟღავნოს/არ გადასცეს საინსპექციო საქმიანობისას მოპოვებული ინფორმაცია/დოკუმენტები მესამე პირებს, დამკვეთის წერილობითი თანხმობის გარეშე.

მუხლი 9. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

9.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და ძალაშია მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად და სრულად შესრულებამდე.

მუხლი 10. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის წესი

10.1 წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

10.1.1 მხარეთა ურთიერთშეთანხმებით;

10.1.2 საქართველოს კანონმდებლობითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 11. დავების გადაწყვეტა

11.1. მხარეთა შორის წამოჭრილი სადავო საკითხები გადაწყდება მოლაპარაკებებისა და ურთიერთშეთანხმების გზით.

11.2. მხარეთა მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11.3. საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით დარეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 12. სხვა დებულებები

12.1. მხარეები ვალდებულნი არიან ყოველი შეთანხმება, რომელიც დაკავშირებულია წინამდებარე ხელშეკრულებასთან (ცვლილება/დამატება) გააფორმონ წერილობით, რაც ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს (გარდა ხელშეკრულების 4.4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა).

12.2. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყოველი შეტყობინება ჩაითვლება მხარის მიერ მიღებულად, თუ შეტყობინება გაგზავნილია ელექტრონული ფოსტით ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნილი შეტყობინება ითვლება ჩაბარებულად. ელექტრონული ფოსტის რეკვიზიტების არარსებობის შემთხვევაში, მხარეს შეტყობინება გაეგზავნება

ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე. მხარის მიერ მითითებულ მისამართზე შეტყობინების გაგზავნით შეტყობინება ითვლება ჩაბარებულად.

12.3. მხარეები ვალდებულნი არიან წერილობითი ფორმით აცნობონ ერთმანეთს ცვლილებების შესახებ, რომელიც ეხება მათ რეკვიზიტებს. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მხარემ არ აცნობა მეორე მხარეს ამგვარი ცვლილებების შესახებ, იგი პასუხისმგებელია ამ ქმედებით გამოწვეული ზიანისათვის.

12.4. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად, თითო ეგზემპლარი გადაეცემა თითოეულ მხარეს.

12.5. მხარეები სრულად ეთანხმებიან ხელშეკრულებაში მითითებულ ყველა პირობას, რასაც ადასტურებენ ხელმოწერით.

12.6 ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე შედგენილი დოკუმენტაციის დასადასტურებლად შესაძლებელია გაყენებულ იქნეს ელექტრონული ხელმოწერა, რომელიც შექმნილია მხარეთა მატერიალური ხელოწერის ფოტოასლის საფუძველზე, ამასთან დამკვეთი უფლებამოსილია მსგავსი სახის ელექტრონულ ხელმოწერაზე გამოიყენოს როგორც კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/შტამპი ასევე ელექტრონული ხელმოწერა, რომელიც შექმნილია მატერიალური ხელმოწერის ფოტოასლის საფუძველზე. წინამდებარე პუნქტში მითითებულ ყველა ფორმით შედგენილ ელექტრონულ დოკუმენტსა და ელექტრონულ ხელმოწერას გააჩნია მატერიალური დოკუმენტისა და პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა.

მუხლი 12. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

დამკვეთი შპს „SINA" ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, ვარკეთილის დასახლება, IV მ/რ, რიგი II, კორპ. 14, ბ. 49 ს/ნ 406095648 ელ.ფოსტა: 555 93 42 11 ტელ.: hajian1350@yahoo.com	შემსრულებელი შპს „მშენ-ექსპერტი +" ქ. თბილისი, დიღმის მასივი, VI კვარტალი, კორპუსი 6-ის მიმდებარედ ს/კ 406304896 ელ ფოსტა: Mshenexperti.plus@gmail.com ტელ: 595-95-25-22

დამკვეთი
შპს „SINA"

406095648 SINA

ნათია მშვიდობაძე
დირექტორი

შემსრულებელი
შპს „მშენ-ექსპერტი +"

406304896 MSHEN-EXPERTI LTD

ალექსანდრე ჭიაბერაშვილი
დირექტორი

საქართველოს ეროვნული აკრედიტაციის ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი

აკრედიტაციის მოწმობა

GAC-IB-0350

ადასტურებს, რომ

შპს „მშენ-ექსპერტი+“-ს

A-ტიპის ინსპექტირების ორგანო

აკრედიტებულია სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013-ის
მოთხოვნებთან შესაბამისობაზე თანდართულ სფეროში

მის.: ქ. თბილისი, დიღმის მასივი,VI კვარტალი,მე-6 კორპუსის მიმდებარედ

იხ. სფერო და სტატუსი

გაცემულია: 2025 წლის 9 თებერვალი

ძალაშია: 2029 წლის 9 თებერვალი

გენერალური დირექტორი

67ა აკაკი წერეთლის გამზირი
0119 თბილისი, საქართველო
+995 32 2 19 22 23
gac@gac.gov.ge

სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი

30 / იანვარი / 2025 წ.

KA990138906209225

№ **GAC-03/57**

შპს „მშენ ექსპერტი +“-ს A ტიპის ინსპექტირების ორგანოს

გიგზავნით, სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი“-ს გენერალური დირექტორის 2025 წლის 28 იანვრის № 06/19 განკარგულებას, აკრედიტაციის სფეროს და აკრედიტაციის მოწმობას.

დანართი: აკრედიტაციის მოწმობა, სფერო და განკარგულება.

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნათია მიქელაძე

სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი

28 / იანვარი / 2025 წ.

KA990198667558125

№ **06/19**

განკარგულება
შპს „მშენ ექსპერტი +“-ს A ტიპის ინსპექტირების ორგანოს განმეორებით აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე

საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 99-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად და სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორის 2020 წლის 10 აპრილის N01-1 ბრძანებით დამტკიცებული „აკრედიტაციის წესების და პროცედურების" საკ 1.1:2020 - „აკრედიტაციის საერთო წესები და პროცედურები“-ს მე-10 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების, 1.7:2020 – „წესები და პროცედურები ინსპექტირების ორგანოების სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013-თან შესაბამისობაზე აკრედიტაციისათვის“ და საკ 1.10:2020 – „აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტებული შშო-ების რეესტრის წარმოების წესი“-ის მე-3 მუხლის საფუძველზე,

1.შპს „მშენ ექსპერტი +“-ს A-ტიპის ინსპექტირების ორგანო დადებითად შეფასდეს საქართველოს სტანდარტთან ისო/იეკ 17020:2012/2013 შესაბამისობაზე და მიენიჭოს განმეორებით აკრედიტაცია 2025 წლის 9 თებერვლიდან.

2.გაიცეს აკრედიტაციის მოწმობა იმავე უნიკალური ნომრითა და ახალი აკრედიტაციის ვადის მითითებით თანდართულ აკრედიტაციის სფეროსთან ერთად 2025 წლის 9 თებერვლიდან.

3.შესაბამისი ინფორმაცია შეტანილ იქნას აკრედიტებული შშო-ების რეესტრში და გამოქვეყნდეს 2025 წლის 9 თებერვლიდან აკრედიტაციის ცენტრის ვებგვერდზე www.gac.gov.ge.

4.ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (მის. ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N2) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საფუძველი:

1.აკრედიტაციის კომიტეტის 2025 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება.
2.აკრედიტაციის ცენტრის ინსპექტირების ორგანოებისა და ლაბორატორიების აკრედიტაციის სამსახურის უფროსის ნესტან მგელაძის 2025 წლის 28 იანვრის **№58-04/GAC** მოხსენებითი ბარათი.

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

ნათია მიქელაძე

აკრედიტაციის მოწმობის ნომერი **GAC-IB-0350**
განკარგულება №06/19
თარიღი:28.01.2025 წელი

„ვამტკიცებ“
აკრედიტაციი ცენტრის გენერალური დირექტორი
ნათია მიქელაძე



A - ტიპის ინსპექტირების ორგანოს აკრედიტაციის სფერო

შპს „მშენ-ექსპერტი +“

მისამართი: ქ. თბილისი, დიღმის მასივი, VI კვარტალი, მე-6 კორპუსის მიმდებარედ

1	2	3	4
1	ობიექტის ხარჯთაღრიცხვის ინსპექტირება.	ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: ობიექტის ხარჯთაღრიცხვის შესაბამისობის შეფასება დადგენილ მოთხოვნებთან, საშუალო საბაზრო ფასებთან და საჭიროების შემთხვევაში პროექტთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი IV); 2. ერთიანი ნორმები და ფასდებები -(ЕНиР) 3. (ВНиР)-სამშენებლო სამუშაოების უწყებრივი ნორმები; 4. (ВЗЕР)-სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების ზონალური ერთეული ნორმების კრებული; 5. (ССН)-ისტორიული და კულტურის ძეგლების სარესტავრაციო აღდგენითი სამუშაოების ნორმები და წესები; 6. სამშენებლო რესურსების ფასები (სრფ), გამომცემელი –მშენებლობის შემფასებელთა კავშირი (მშკ); 7. ტექნიკური რეგლამენტი – სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის შესახებ (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის დადგენილება N55); 8. MEP-TP-G01 - ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები.
2	ობიექტის ხარჯთაღრიცხვის ფასწარმოქმნის ადექვატურობის ინსპექტირება.	ობიექტის ხარჯთაღრიცხვის შესაბამისობის შეფასება: • დადგენილ მოთხოვნებთან, საშუალო საბაზრო ფასებთან და საჭიროების შემთხვევაში პროექტთან; • კონკრეტული მომწოდებლის რესურსებთან და შესაძლებლობებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი IV - 82); 2. ერთიანი ნორმები და ფასები - (ЕНиР) 3. (ВНиР)-სამშენებლო სამუშაოების უწყებრივი ნორმები; 4. (ВЗЕР)-სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების ზონალური ერთეული ნორმების კრებული; 5. (ССН)-ისტორიული და კულტურის ძეგლების სარესტავრაციო აღდგენითი სამუშაოების ნორმები და წესები;

			6. სამშენებლო რესურსების ფასები (სრფ), გამომცემელი - მშენებლობის შემფასებელთა კავშირი (მშკ); 7. ტექნიკური რეგლამენტი -„სამშენებლო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დადგენის მეთოდიკა“ (საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 სექტემბერი, დადგენილება №439) 8. ტექნიკური რეგლამენტი - სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის შესახებ (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის დადგენილება N55); 9. MEP-TP-G02 - ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები.
